საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აწრისხევი

აწრისხევი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ბელოთის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), გუდისის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. პატარა ლიახვის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 1320 მ, გორიდან 55 კმ.

ა. შიდა ქართლის ერთ-ერთი უძველესი სოფელია. XIV ს-ში მეფე ვახტანგ III-მ ა. ქსნის ერისთავს შალვა ქვენიფნეველს უწყალობა. XVIII ს. 30-იან წლებში შანშე ქსნის ერისთავმა აქ ციხე ააგო, რ-იც ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი დასაყრდენი გახდა.

სოფლის განაპირას, დას-ით მაღალ გორაკზე, დგას IX–X სს. წმ. მარიამის ერთნავიანი ეკლესია. გადამხურავი კამარა ეყრდნობა პილასტრების ერთ წყვილზე ამოყვანილ საბჯენ თაღს, დას-ით – კრონშტეინებზე ამოყვანილ კედლის თაღს. ინტერიერი შელესიალია, საინტერესოდ არის გადაწყვეტილი სწორკუთხა საკურთხეველი. იგი ეკლესიის იატაკის დონეზე ერთი საფეხურით მაღალია, გადახურულია კონქით და ძირითადი მოცულობისაგან სამთაღიანი ქვის კანკელით არის გამოყოფილი. ინტერიერი ნათდებოდა 3 სარკმლით – აღმ., დას. და სამხრ-იდან. ერთადერთი, არქიტრავით გადახურული კარი დას-იდან აქვს. ეკლესია ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვის სწორი რიგებით, გადახურულია ქვის ფილებით. ფასადები სადაა. ამ ტიპის ეკლესიები ძირითადად გავრცელებული იყო შიდა ქართლის მთიან რ-ნებში (ხანდოსა და წინკიბის ეკლესიები) და ხევში. გვხვდება აგრეთვე ქვემო ქართლში, სვანეთსა და კახეთში. იქვე ახლოს დგას 1899 აგებული ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია. ა-ის ციხისაგან მხოლოდ ნანგრევებია გადარჩენილი. გალავანი გამაგრებულია კოშკებით და ბურჯებით. მთავარი, გეგმით სწორკუთხა, კოშკი სამხრ.-დას. ნაწილში დგას. ნაგებია ადგილ. კლდის ქვით. ციხე ისტ. წყაროებში XVIII ს-ში იხსენიება, მაგრამ იგი უფრო ადრე, შუა ფეოდალურ ხანაში ჩანს აგებული.

ა. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლიტ.: ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., ლარგვისის არქიტექტურული ანსამბლი, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1956, ტ. 19 B; Ш м е р л и н г Р. О., З а к а р а я П. П., Три неизвестных памятника, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1971, № 2.

ჯ. გვასალია

პ. ზაქარაია